„დამტკიცებულია“
შპს „სელბაი ლიმითედის“
2021 წლის 20 სექტემბრის
N 001 ბრძანებით

სანდრო ხვედელიანი
შპს „სელბაი ლიმითედის“
დირექტორი

შპს „სელბაი ლიმითედი“

შპს „სელბაი ლიმითედის“

მექრთამეობასთან და კორუფციასთან ბრძოლის პოლიტიკა

SBL

თბილისი, 2021

სარჩევი

1. შესავალი 3
2. ტერმინთა განმარტება 3
3. მოქმედების სფერო 4
4. მექრთამეობისა და კორუფციის აკრძალვა 4
5. რისკების შეფასება 5
6. წარმომადგენლობითი ხარჯები 6
7. საქველმოქმედო კონტრიბუციები 6
8. პასუხისმგებლობა და აუდიტი 6
9. ტრენინგი 6
10. დასკვნითი დებულებები 7

1. შესავალი

1.1. წინამდებარე მექრთამეობასთან და კორუფციასთან ბრძოლის პოლიტიკით (შემდგომში - **პოლიტიკა**) შპს „სელბაი ლიმითედი“ (შემდგომში - **კომპანია**) კრძალავს კორუფციის და მექრთამეობის ყველა ფორმას და განსაზღვრავს იმ ძირითად პრინციპებსა და მოთხოვნებს, რომლებიც მიმართულია კორუფციული სამართალდარღვევების წინააღმდეგ, კორუფციული სამართალდარღვევების შედეგების შემცირებისა და კორუფციის ფაქტობრივი და საეჭვო შემთხვევების კონტროლისკენ.

1.2. **პოლიტიკით** დადგენილია ის პროცესები, რომელიც დაცულ უნდა იქნეს კორუფციისა თუ ქრთამის აღების ფაქტობრივი ან საეჭვო შემთხვევის გამოვლენის შემთხვევაში.

2. ტერმინთა განმარტება

თუ **პოლიტიკით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ან მისი კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, **პოლიტიკაში** გამოყენებულ ქვემოთ მოცემულ დეფინიციებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

2.1. **ქრთამი** - ფული, საჩუქარი, წარმომადგენლობითი ღონისძიებები, ხარჯები, ორმხრივად გაწეული სამსახური, პოლიტიკური ან საქველმოქმედო კონტრიბუცია, დასაქმების პირობების აღთქმა, ან ნებისმიერი პირდაპირი თუ არაპირდაპირი სარგებელი.

2.2. **მექრთამეობა - პირის** მიერ პირდაპირ ან არაპირდაპირ, ფულის, ფასიანი ქაღალდის, სხვა ქონების, ქონებრივი სარგებლის ან სხვა რაიმე არამართლზომიერი უპირატესობის მიღება ან მოთხოვნა, ან/და პირისათვის პირდაპირ ან არაპირდაპირ, მის ან სხვა პირის სასარგებლოდ ფულის, ფასიანი ქაღალდის, სხვა ქონების, ქონებრივი სარგებლის ან სხვა რაიმე არამართლზომიერი უპირატესობის დაპირება, შეთავაზება ან მინიჭება, სხვა პირზე არასათანადო ზეგავლენის მოხდენის, **კომპანიის** ან სხვა პირის ბიზნეს უპირატესობის მიღების ან შენარჩუნების, ბიზნესის წარმოების მიზნით ან/და არასახარბიელო მდგომარეობის აღკვეთის ან შემცირების მიზნით.

2.3. **კორუფცია - პირის** მიერ საზოგადოებრივი ძალაუფლების ან მდგომარეობის გამოყენება პირადი უპირატესობებისა და სარგებლის მიღების მიზნით. მათ შორის და არა მხოლოდ **ქრთამის** მიღება ან გაცემა, თაღლითური ქმედება ან ისეთ მოქმედება რაც იწვევს **ინტერესთა კონფლიქტს.**

2.4. **ინტერესთა კონფლიქტი** - წინააღმდეგობა **დასაქმებულების/მიმწოდებლის** პირად ინტერესსა და მათ მიერ თავისი თანამდებობრივი უფლებამოსილების სათანადო შესრულებას შორის, ან **კომპანიის** ან/და **დასაქმებულების ან/და მიმწოდებლის** ქონებრივ და სხვა ინტერესებს შორის, რამაც შეიძლება განაპირობოს უარყოფითი შედეგები **კომპანიისთვის.**

2.5. **წარმომადგენლობითი ხარჯები - პირის** მიერ ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში გაწეული ხარჯი, რომელიც მათ შორის მოიცავს **პირის** სახელით გამართული ღონისძიებებისათვის (პრეზენტაცია, მიღება, სადილი, ვახშამი, მგზავრობა და ა.შ) ხარჯებს, სტუმრების მომსახურების ხარჯებს.

2.6. **დასაქმებული** - ფიზიკური პირი, რომელიც შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ **კომპანიისთვის** ასრულებს გარკვეულ სამუშაოს.

2.7. **მიმწოდებელი**- ნებისმიერი ფიზიკური ან/და იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას/პროდუქციის მიწოდებას **კომპანიისთვის** ან/და არის **კომპანიასთან** დადებული ხელშეკრულების მხარე ან ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც **მიმწოდებელი** იყენებს **კომპანიასთან** ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად.

2.8. **მესამე პირები** - ნებისმიერი პირი გარდა **კომპანიის, დასაქმებულის** და **მიმწოდებლისა**, მათ შორის და არა მხოლოდ აგენტი, პარტნიორი, კონსულტანტი, ბროკერი, წარმომადგენელი, ინვესტორი, ქვეკონტრაქტორი.

2.9. **პირი** – ფიზიკური პირ(ებ)ი, იურიდიული პირ(ებ)ი ან/და საქართველოს ან სხვა ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნ(ებ)ი, რომელიც/რომლებიც არ წარმოადგენს/წარმოადგენენ იურიდიულ პირ(ებ)ს.

2.10. **სახელმწიფო მოხელე** - ნებისმიერი სამთავრობო დეპარტამენტის ან სააგენტოს, ნებისმიერი საერთაშორისო ორგანიზაციის თანამდებობის პირი, პოლიტიკური პარტიები და პარტიის ლიდერები, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ან მთავრობის მიერ მართული კომპანიების აღმასრულებლები და თანამშრომლები ან ამ თანამდებობის პირების სახელით მოქმედი ნებისმიერი პირი, ასევე ნებისმიერი პირი, რომელსაც უკავია საკანონმდებლო, ადმინისტრაციული ან სასამართლო თანამდებობა.

2.11. **კანონმდებლობა** – საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები და საქართველოს ნორმატიულ აქტთა სისტემაში მოქცეული საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები.

3. მოქმედების სფერო

3.1. პოლიტიკის მოქმედება ვრცელდება **კომპანიის** ყველა **დასაქმებულზე, მიმწოდებელზე** და **მესამე პირებზე** (შემდგომში ერთობლივად - **სუბიექტები**) მიუხედავად მათი გეორგაფიული ადგილმდებარეობისა.

3.2. **სუბიექტები** ვალდებულნი არიან დაიცვან პოლიტიკის მოთხოვნები და აიღონ პასუხისმგებლობა მათთვის დადგენილი წესების სრულყოფილად და ზედმიწევნით შესრულებაზე.

3.3. **დასაქმებული** და **მიმწოდებელი პოლიტიკაზე** თანხმობას აცხადებენ **დანართი N1**-ში და **დანართ N2**-ში მოცემულ დოკუმენტზე ხელმოწერით.

4. მექრთამეობისა და კორუფციის აკრძალვა

4.1. **პოლიტიკით** იკრძალება **სუბიექტის** მიერ ნებისმიერი ღირებულების მქონე ნებისმიერი სიკეთის გადაცემა ან შეთავაზება ნებისმიერი პირისთვის, ასევე ნებისმიერი პირისგან მისი მიღება ან წახალისება **კორუფციული** მოტივით, მათ შორის და არამხოლოდ დაუმსახურებელი ანაზღაურების ან შეღავათის მინიჭება **თანამდებობის პირისთვის** ან უკანონო ბიზნეს უპირატესობის მოსაპოვებლად კერძო პირისთვის.

4.2. **სუბიექტები** ვალდებულნი არიან უზრუნველყონ საფინანსო/საბუღალტრო წიგნების და ჩანაწერების სისწორე სიზუსტე და დეტალური დასაბუთება.

4.3. **პოლიტიკა** კრძალავს როგორც ქრთამის შეთავაზებასა და გადახდას მიუხედავად ფულადი ოდენობისა, ისე მის დაპირებას ასევე ქრთამის მოთხოვნის, აღების ან აღების შესახებ შეთანხმების მხარდაჭერას, წახალისებას ან პროვოცირებას ნებისმიერი ფორმით.

4.4. **სუბიექტები** და მათთან დაკავშირებული პირები ვალდებულნი არიან:

- არ აღმოჩნდნენ **მექრთამეობის** თანამონაწილენი რაიმე სახით, ასევე ნებისმიერი **კორუფციული** გარიგების თანამონაწილენი რაიმე ფორმით, როგორც პირდაპირ ისე ირიბად.
- არ განახორციელონ, არ დაპირდნენ, მიიღონ ან გასცენ ისეთი გადახდა, სასყიდელი ან ანაზღაურება, რომელიც იქნება **მექრთამეობის** ან/და **კორუფციული** ქმედებების ჩადენის ხელის შემწყობი. ამდაგვარ გადახდებში მათ შორის იგულისხმება გადახდები, რომელიც გამიზნულია **სახელმწიფო მოხელეებზე** გადასაცემად იმ მიზნით, რომ დაჩქარდეს, ან შესრულდეს რაიმე კონკრეტული ქმედება. ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, ამგვარ გადახდებში არ იგულისხმება სახელმწიფო ორგანოს სასარგებლოდ გადახდილი, **კანონმდებლობით** ან რეგულაციებით დადგენილი და დოკუმენტირებული გადასახადი.
- დაიცვან იმ ქვეყნების კანონმდებლობა, რომლებშიც აწარმოებენ საქმიანობას, მათ შორის და არა მხოლოდ, შესაბამის ანტიკორუფციულ რეგულაციები, მათ შორის და არა მხოლოდ გაერთიანებული სამეფოს 2010 წლის მექრთამეობის შესახებ აქტი, ამერიკის შეერთებული შტატების 1977 წლის კანონს უცხოეთის ქვეყნებში ეკონომიკური საქმიანობის წარმოებისას კორუფციასთან ბრძოლის შესახებ, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) კონვენციას საერთაშორისო ბიზნეს გარიგებების განხორციელებისას უცხოეთის ქვეყნების სახელმწიფო თანამდებობის პირთა მექრთამეობასთან ბრძოლის შესახებ და გაეროს კონვენცია კორუფციასთან ბრძოლის შესახებ.
- ყურადღება გაამახვილონ იმ გარემოებებზე, სადაც, მათი აზრით, არსებობს, შეიძლება იყოს, ან იყო, ან შეიძლება ყოფილიყო არასათანადო ქცევა სხვა **პირების** მიერ.
- ღირებულების მქონე სიკეთის სხვა **პირებისთვის**/სხვა **პირებისგან** მიღებამდე/შეთავაზებამდე/გადაცემამდე გაეცნონ შესაბამისობის სამსახურის შესაბამის დასკვნას და გაიარონ შესაბამისი კონტროლი (საჩუქრებთან და ბიზნეს კეთილგანწყობასთან დაკავშირებით დადგენილი ზოგადი ზღვრების გათვალისწინებით).
- აცნობონ ნებისმიერი გარემოება, რომელიც აღვევს ან შესაძლოა არღვევდეს **პოლიტიკას** უშუალოდ **კომპანიის** დირექტორს შემდეგი ელექტრონულ ფოსტაზე შეტყობინების გაგზავნის გზით - s.khvedeliani@sbl.ge .
- რაიმე ქმედების **მექრთამეობად/კორუფციად** კვალიფიკაციასთან დაკავშირებით კითხვების შემთხვევაში დაუკავშირდნენ **კომპანიის** იურიდიულ სამსახურს და იმოქმედონ მათი მითითებების შესაბამისად.

5. რისკების შეფასება

5.1. ბიზნეს ურთიერთობების ფარგლებში ან/და ბიზნესურთიერთობის დამყარებამდე **კომპანია** უფლებამოსილია განახორციელოს:

- ბიზნესის წარმოების ქვეყანასთან დაკავშირებული თაღლითობის, **მექრთამეობისა** და **კორუფციის** რისკების შეფასება.
- **მესამე პირის** პოტენციური ბიზნეს პარტნიორების გადახედვა.
- **მესამე პირის** გადახდის პირობებისა და სქემების გადახედვა.
- შემოთავაზებული პროექტის ან ბიზნეს ტრანზაქციის გადახედვა, რათა შესაძლებლობის ფარგლებში გამოვლინდეს **კორუფციის** ან **მექრთამეობის** რისკი.

6. წარმომადგენლობითი ხარჯები

6.1. **წარმომადგენლობითი ხარჯები,** რომელსაც **დასაქმებულები**, **მიმწოდებლები** ან **მესამე პირები** გასწევენ, უნდა შეესაბამებოდეს წინამდებარე **პოლიტიკას.**

6.2. უცხოური სახელმწიფოს საჯარო მოხელის სახელით წარმომადგენლობითი ხარჯები არ უნდა იყოს გაღებული **კომპანიის** იურიდიული სამსახურის წინასწარი ნებართვის გარეშე. **წარმომადგენლობითი ხარჯების** გაწევა დასაშვებია მგზავრობის, განთავსება, პროდუქციის ან მომსახურებების რეკლამირების, დემონსტრირების დროს გონივრულობის ფარგლებში.

7. საქველმოქმედო კონტრიბუციები

7.1. **პოლიტიკა** ზღუდავს **დასაქმებულების** მიერ **კომპანიის** დირექტორის წინასწარი თანხმობის გარეშე **კომპანიის** სახელით ნებისმიერი სახის საქველმოქმედო კონტრიბუციის განხორციელებას.

7.2. **პოლიტიკით** არ იზღუდება **დასაქმებულების** მიერ საქველმოქმედო კონტრიბუციის პირადად, საკუთრი სახელით, კომპანიისგან დამოუკიდებლად განხორციელება.

8. პასუხისმგებლობა და აუდიტი

8.1. **კომპანია** უფლებამოსილია **პოლიტიკის** დებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით შეამოწმოს სუბიექტი, რა შემთხვევაშიც იგი უფლებამოსილია დამოუკიდებელი მესამე პირის მეშვეობით ჩაატაროს შემოწმება, რათა დადასტურდეს, რომ არ აქვს ან/და არ ექნება ადგილი **პოლიტიკის** და **კანონმდებლობით** გათვალისწინებული რაიმე სახის დარღვევას.

8.2. **პოლიტიკის** დარღვევა **სუბიექტის** მიერ გამოიწვევს პასუხისმგებლობას და შესაბამის სანქციებს, რაც გათვალისწინებულია **კანონმდებლობით** (მათ შორის, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობასაც).

8.3. **თანამშრომლებზე**, რომლებიც წაახალისებენ **მექრთამეობას**, ან არ დაიცავენ შესაბამისი **მექრთამეობის** პრევენციისა და **ანტიკორუფციული პოლიტიკის** მოთხოვნებს, გავრცელდება დისციპლინური ზომები, მათ შორის სამსახურიდან გათავისუფლება, ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებისა და მოქმედი შესაბამისი **კანონმდებლობის** გათვალისწინებით.

9. ტრენინგი

9.1. **კომპანიის** ყველა **დასაქმებული** გაიაროს ტრენინგი, რომელსაც კომპანია პერიოდულად ატარებს, **კორუფციასა** და **მექრთამეობასთან** დაკავშირებული რისკების იდენტიფიცირების, აღკვეთის და **კორუფციული** თუ **ქრთამის** აღების ფაქტის შეტყობინების მიზნებისთვის.

10. დასკვნითი დებულებები

10.1. **კომპანია** უფლებამოსილია საჭიროებისამებრ რეგულარულად გადახედოს **პოლიტიკა** და განაახლებს მას საჭიროებისამებრ **კანონში** ცვლილებების შესაბამისად.

დანართი 1

კორუფციასთან და მექრთამეობასთან ბრძოლის ვალდებულება მიმწოდებლებისთვის (შემდგომში - **ვალდებულება**)

კომპანიის დასახელება: ---------- (ს/კ: ----------) (შემდგომში - **მიმწოდებელი**)

1. შპს „სელბაი ლიმითედსა“ (შემდგომში - **კომპანია**) და **მიმწოდებელს** შორის საქმიანი ურთიერთობის გათვალისწინებით **მიმწოდებელი** და **მიმწოდებლის** ნებისმიერი დასაქმებული, თანამშრომელი ან/და სხვა აფილირებული პირი ვალდებულია:
   - არ შესთავაზოს, დაპირდეს, მისცეს ან მიიღოს, პირდაპირ ან ირიბად, სახელმწიფო ორგანოებთან თუ ნებისმიერ იურიდიულ პირთან, მათ დასაქმებულებთან ან სხვა უფლებამოსილ პირებთან ურთიერთობისას ნებისმიერი უკანონო ან/და დაფარული საკომისიო, ქრთამი, სასყიდელი ან ანაზღაურება ან რაიმე ნივთი, ფინანსური ან სხვა ტიპის სარგებელი ან დაუშვას ისეთი ქმედება ნებისმიერ საკითხთან დაკავშრებით, რაც წარმოადგენს **კომპანიასა** და **მიმწოდებელს** შორის გაფორმებული ხელშეკრულების ან სხვა ნებისმიერი შეთანხმების საგანს (შემდგომში - **შეთანხმება**) ან შესაძლოა უკავშირდებოდეს **შეთანხმებას** ან სხვაგვარად არ იყოს ჩართული კორუფციულ საქმიანობაში;
   - დაიცვას კორუფციასთან ბრძოლის შესახებ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით ან/და საქართველოს ნორმატიულ აქტთა სისტემაში მოქცეული საერთაშორისო ხელშეკრულებებით და შეთანხმებებით გათვალისწინებული მოთხოვნები;
   - დაიცვას **კომპანიის** მექრთამეობასთან და კორუფციასთან ბრძოლის პოლიტიკა;
2. თუ **მიმწოდებლისთვის** ცნობილი გახდება **ვალდებულების** დარღვევა ან შესაძლო დარღვევა, **მიმწოდებელი** ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს **კომპანიას** აღნიშნულის თაობაზე, ხოლო **კომპანია** უფლებამოსილია დაუყოვნებლივ შეაჩეროს **შეთანხმება,** დარღვევის სრულყოფილად გამოკვლევამდე/შესწავლამდე. **მიმწოდებელი** ვალდებულია ითანამშრომლოს **კომპანიასთან** გამოკვლევის პროცესში, მათ შორის დაუყოვნებლივ მისცეს წვდომა **კომპანიას** ყველა დოკუმენტსა თუ სისტემაზე.
3. **მიმწოდებლის** მიერ **ვალდებულების** დარღვევის ფაქტის დადგენა გამიწვევს **მიმწოდებლის** დაუყოვნებლივ დისკვალიფიკაციას **შეთანხმების** დადების პროცესიდან ან/და **შეთანხმების** შეწყვეტას (ასეთის არსებობის შემთხვევაში), **კომპანიისთვის** ყოველგვარი პასუხისმგებლობის დაკისრების გარეშე. ამასთან აღნიშნული დისკვალიფიკაცია არ გამორიცხავს **მიმწოდებლის** ან/და მისი დირექტორის, უფლებამოსილი პირის, სხვა წარმომადგენლის ან მასთან დაკავშირებული პირის ან/და მისი აფილირებული პირის პასუხისმგებლობას და შესაბამის სანქციებს, რაც გათვალისწინებულია **კანონმდებლობით** (მათ შორის, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობასაც).
4. **შეთანხმების** პირობების მიუხედავად, **ვალდებულებასა** და **შეთანხმების** ნებისმიერ ჩანაწერს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება **ვალდებულებას**.

ვალდებულების დოკუმენტის **მიმწოდებლისთვის** გაცნობის შემთხვევაში, იგულისხმება რომ **მიმწოდებელმა** მიიღო და დათანხმდა ამ **ვალდებულების** შესრულებას, მიუხედევად იმისა დაუბრუნებს თუ არა **კომპანიას ვალდებულების** ხელმოწერილ დოკუმენტს.

მიმწოდებლის სახელით:

სახელი და გვარი:

თანამდებობა:

თარიღი:

ხელმოწერა: